

## 24 მეტრზე ნაკლები სიგრძის იახტების მდგრადობის გამოთვლა, მდგრადობაზე გამარტივებული გამოცდა

### 1. მდგრადობის გამოთვლა

1.1 მდგრადობა გამოითვლება EN ISO12217-1 სტანდარტის შესაბამისად, არა-იალქნიანი იახტების შემთხვევაში EN ISO 12217-2 სტანდარტის შესაბამისად, – იალქნიანი იახტების შემთხვევაში, დაპროექტების შემდეგ კატეგორიებთან დაკავშირებით:

- ა) კატეგორია 'A' (საოკეანო) – 8 ბოფორტზე მეტი ქარის ძალა და 4 მეტრზე მაღალი ტალღის დამახასიათებელი სიმაღლე;
- ბ) კატეგორია 'B' (ნაპირიდან მოშორებით მცურავი) – არაუმეტეს 8 ბოფორტის ქარის ძალა და არაუმეტეს 4 მეტრის ტალღის დამახასიათებელი სიმაღლე;
- გ) კატეგორია 'C' (სანაპიროსთან ახლოს მცურავი) – არაუმეტეს 6 ბოფორტის ქარის ძალა და არაუმეტეს 2 მეტრის ტალღის დამახასიათებელი სიმაღლე.

### 2. მდგრადობაზე გამარტივებული გამოცდა

2.1 იახტის გამოცდა უნდა მოხდეს სრულად დატვირთულ პირობებში, როდესაც ყველა საწვავის ცისტერნა და სასმელი წყლის ცისტერნა იქნება სავსე მდგომარეობაში, ხოლო ბორტზე წარმოდგენილი იქნება იმ ადამიანთა სრული რაოდენობა, რომლებზეც გათვლილია იახტა, ან 75 კგ წონის ტვირთი თითოეული ზემოაღნიშნული პირის სანაცვლოდ. იახტის ერთ მხარეს ყველა ადამიანის / სრული წონის შეგროვებით, გამოითვლება დაგვერდების კუთხე და ცვლილება წყალხაზის სიმაღლეში.

2.2 იახტები შეფასდება, როგორც მდგრადობის მისაღები სტანდარტის მქონე იმ შემთხვევაში, თუ გამოცდის შედეგად გამოვლინდება, რომ:

- ა) დაგვერდების კუთხე არ აღემატება 7 გრადუსს; და
- ბ) კიჩოდან კიჩომდე გადაჭიმული წყალგაუმტარი ღია გემბანის მქონე იახტის შემთხვევაში, რომელიც აღწერილია წინამდებარე წესის მე-15 მუხლში გემბანზე წყალზედა ბორტის სიმაღლე არაა 75 მმ-ზე ნაკლები ნებისმიერ პუნქტში; და
- გ) დასაშვებია, რომ დაგვერდების კუთხემ გადააჭარბოს 7 გრადუსს, თუმცა არ უნდა აღემატებოდეს 10 გრადუსს იმ შემთხვევაში, თუ დაგვერდებულ მდგომარეობაში წყალზედა ბორტის სიმაღლე შეესაბამება 61-ე და 62-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ვერტიკალურ მდგომარეობაში.

2.3 გამოცდის ან გამოთვლის შედეგად ნაჩვენები უნდა იქნას, შეძლებს თუ არა უგემბანო ნავი, სრულად დატვირთვის შემთხვევაში, მისი სრული აღჭურვილობის, იმ პირების საერთო

რაოდენობის, რომლისთვისაც იგი არის სერტიფიცირებული, მისი ძრავის ექვივალენტური მასის და საწვავის სავსე ავზის გაძლევას.

2.4. ზემოთ აღწერილი გამოცდის განმავლობაში გამოყენებული დაგვერდების მომენტი ასევე საჭიროებს გამოთლას. შემდეგი ფორმულის გამოყენებით, იახტამ უნდა მიაღწიოს არანაკლებ 0.5 მეტრის საწყის მეტაცენტრულ სიმაღლეს, იახტის სავარაუდო წყალწყვის გამოყენების შემთხვევაში, ან არანაკლებ 0.35 მეტრის საწყის მეტაცენტრულ სიმაღლეს, თუ იახტის წყალწყვა ცნობილია და შესაძლებელია შემოწმდეს საზოგადოების კლასიფიკაციით ან დანიშნული/აღიარებული შემოწმებლის (სურვეიერის) მიერ.

$$GM = 57.3 \times HM$$

$$\theta \times \Delta$$

სადაც:

HM = დაგვერდების მომენტი, გამოსახული კილოგრამ-მეტრებში.

$\theta$  = დაგვერდების კუთხე გრადუსებში, მიღებული ზემოაღნიშნული წესით გამოცდის შედეგად.

$\Delta$  = იახტის წყალწყვა კილოგრამებში, სავარაუდო ან გაზომილი და შემოწმებული საზოგადოების კლასიფიკაციით ან დანიშნული/აღიარებული შემოწმებლის (სურვეიერის) მიერ.